ბაღი ბულბულით ავსილა

ბაღი ბულბულით ავსილა, ვარდსა რაზი არ აკლია,
აწ დაშვენდა ია-ვარდი, ზედ ლამაზი არ აკლია,
უცხოდ ხარობს ასამინი, ძილს სარაზი არ აკლია,
წმინდა სანთლები შამდანში, ზირანდაზი არ აკლია,
მეიდნხი გამართული, ქანდირბაზი არ აკლია!

არ გეწყინოს, ჩემო კარგო, სიტყვაშიაც იგავი მაქვს,
რომელ ერთხელ გენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს?
მუდამ შენს სამსახურში ვარ, არა სთქვა პირი შავი მაქვს,
სულ ქვეყანა ჩვენსა არის, რომ ბაზაზი არ აკლია!

რახან სოფელს ასე მოსდევს, ულხენოთაც არ იქნება.
შენი ქება და დიდება უენოთაც არ იქნებას!..
მარანისა ტუმბო სავსე უდენოთაც არ იქნება,
თუ მეჯლისი მორთულია, უშენოთაც არ იქნება,
ტრიალებს ოქროს თასები, ლეილუმ ნაზი არ აკლია!

ხელმწიფესაც არ უქნია როსტომ-ზაალისათვინა,
ნიშნობა და ქორწილიცა თავისი ქალისათვინა! -
რაც რომ გადამხდა თავზედა, სულ იმ მაღალისათვინა:
ლეილუმის ქამანჩისა დოულ-ყავალისათვინა:
გარს უსხედან მომღერალნი, სანთურ-საზი არ აკლია!

ტურფა ტანი ლერწამს გიგავს - მორთულხარ ქირმანშალშია,
კბილები მარგალიტში გაქვს, ინდის პილპილი ხალშია,
ფალევანთა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-ზალშია,
თუ ჩვენსა არ მობძანდები. წავიდეთ სამართალშია...
საიათნოვას ხემწიფე, ყენ-შაჰბაზი ირაკლია!